

ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა საველე გარემოსდაცვით  
განათლებაში

მიხეილ ფოცხიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში ბიზნესის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (მიმართულება:  
ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობები. ასევე განხილულია საქართველოს მასშტაბით ერთადერთი სასწავლო აპლიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა ინფორმაციის მატარებელი თანამედროვე მოწყობილობების დახმარებით საველე გასვლები უფრო საინტერესო და შედეგიანი გახადოს.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა კვლევას, რომლის ჰიპოთეზაც შემდეგი იყო - საველე გარემოსდაცვით განათლებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტურია.

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა საველე გარემოსდაცვით განათლებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული გამოცდილების შესწავლა და მისი ეფექტურობის გაზრდასან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება.

დღევანდელ მსოფლიოში ტექნოლოგიები ინტეგრირებულია ბევრ სხვადასხვა სფეროში. მათი ინტეგრირება, ეფექტურობის გასაზრდელად, მიზანშეწონილია სწავლების პროცესშიც. ტექნოლოგიები, შეიძლება, გამოიყენებოდეს საველე გარემოსდაცვით განათლებაშიც. ესეც სწორედ ის სფეროა, რომელიც ტექნოლოგიების მსგავსად, ყოველდღიურად უფრო აქტუალური ხდება. ჩვენი კვლევის შედეგები შემდომ მუშაობაში შეიძლება გამოიყენოს როგორც ილიას უნივერსიტეტმა, ისე დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ასევე სხვა საჯარო უწყებებმა, რომელთა მიზნებსა და ამოცანებში შედის საზოგადოების განათლება და ცნობიერების ამაღლება ბუნებრივ და კულტურულ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.